



# უნივერსიტეტი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაში

№7 (74) 2017

## თსუ ევროპის 400 საუკეთესო უნივერსიტეტს შორისაა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა Times Higher Education-ის მონაცემებით, ევროპის 400 საუკეთესო უნივერსიტეტის ჩამონათვალში 301+ პოზიციას დაიკავა. ინფორმაციას უნივერსიტეტის სამოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს. უნივერსიტეტის ჩამონათვალი გასულ კვირას გამოქვეყნდა.

თსუ რეიტინგში ერთადერთი უნივერსიტეტია, რომელიც ევროპის 400 საუკეთესო უნივერსიტეტს შორისაა. ევროპის 2017 წლის რანჟინგებში სულ 35 ევროპული ქვეყანა მოხვდა. ევროპის უნივერსიტეტები მსოფლიოს 1000 საუკეთესო უნივერსიტეტის დაახლოებით 40%-ს შეადგენენ. ჩამონათვალს კვლავ ოქსფორდის უნივერსიტეტი ლიდერობს. მასთან ერთად ჩამონათვალიში გაერთიანებული სამეფოს 90 სხვა უნივერსიტეტია. უნივერსიტეტების რაოდენობით მე-2 ადგილს გერმანია იკავებს (41 უნივერსიტეტი, მათგან უმეტესობა 100 საუკეთესო უნივერსიტეტს შორისაა).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასევე პირველი უნივერსიტეტია საქართველოდან, რომელიც გასულ წელს „თაიმსის“ მსოფლიოს უნივერსიტეტების რანჟინგის ჩამონათვალიში მოხვდა. 2016-2017 წელს „თაიმსმა“ მსოფლიოს 980 საუკეთესო უნივერსიტეტის ჩამონათვალი გამოაქვეყნა. ამ ჩამონათვალიში თსუ 801+ ადგილს იკავებს.

თსუ-მ ყველაზე დიდი შეფასება აიღო საერთაშორისო ცნობადობისა და ინდუსტრიული შემოსავლის კომპონენტში – საერთაშორისო ცნობადობა გულისხმობს საერთაშორისო და ადგილობრივი სტუდენტებისა და საერთაშორისო და ადგილობრივი პერსონალის რაოდენობის შეფარდებას, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობას; ინდუსტრიული შემოსავლის კომპონენტი გულისხმობს გამოგონებებისა და ინოვაციების წარმოებაში დანერგვას ქვეყნის მასშტაბით.

წელს მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟინგებში საკონკურსო Times Higher Education-მა კვლევითი კომპონენტის შესაფასებლად გამოიყენა უნივერსიტეტების გამოქვეყნების რაოდენობა. რეიტინგში აისახა მხოლოდ ის პუბლიკაციები, რომელიც Elsevier Scopus-ის ბაზაში იქნებოდა.

ბარბელა მ-2 მ.

## საგაფხულო სკოლა თსუ-ში



20-დან 30 ელვისის ჩათვლით, თსუ საბავშვო უნივერსიტეტი და აბიგურინგთა სამსახური საგაფხულო სკოლაში მე-9, მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეებს მასპინძლობენ. 30-ზე მეტი ბავშვი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან საბავშვო სკოლისთვის ორი სპეციალური კონკურსის საფუძველზე შეირჩა, რომელიც წაკითხულის გააძრვავება და ესეების კონკურსის მოიცავდა. პირველის თემა ეკოლოგია გახლდათ, მეორეს თემა კი „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ევროპელი“ გახლდათ. საბავშვო სკოლის გახსნა პირველივე დღეს სწორედ ამ შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოვებით აღინიშნა. მათ სიგელები და ნიღო ქადაგიძე-ფანასის მიერ მურან ფვანიას წიგნად გამოცემული ლექციების კრებული გადაეცა.

მ-2

## თსუ-დან როტერდამის ერაზმუსის უნივერსიტეტში – ბაცვლითი პროგრამით ევროპაში

თსუ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ნიდერლანდების სამეფოში, როტერდამის ერაზმუსის უნივერსიტეტის განსახლებისა და უბრუნული განვითარების კვლევების ინსტიტუტში (IHS) მიმდინარე პროექტში „სამოგადოებრივი ჩართულობა მწვენივ ქალაქის სტრატეგიულ განვითარებაში“ იღებენ მონაწილეობას.

თსუ-სა და ევროპის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შესახებ ვესაუბრება თსუ ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი და პროექტის კოორდინატორი ნანა მაჭარაძე:

„როტერდამის ერაზმუსის უნივერსიტეტის ბინარობისა და უბრუნული განვითარების ინსტიტუტში, რომელთანაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრს არაერთწლიანი მჭიდრო თანამშრომლობა აქვს სხვადასხვა პროექტების ფარგლებში, 2015 წელს ევროკომისიის წინაშე წარადგინა პროექტი ერაზმუსის პროგრამის სტიპენდიების მოსაპოვებლად უბრუნული მენეჯმენტისა და მმართველობის საკითხებით დაინტერესებული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.“

პროექტის პარტნიორები არიან მოლდოვის გვეიკური უნივერსიტეტი და ერევანის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ინტერდისციპლინური კვლევებისა და განვითარების ცენტრისთვის დაფინანსების მსგავსი წყაროების ძიება, პირველ რიგში, სწორედ ინტერდისციპლინური კვლევებისა და სწავლების ინტერნაციონალიზაციის მიზანს ემსახურება.

2016 წელს ევროკომისიისგან დადებითი შეფასების პირობებში, 2017 წელს უკვე პროექტის აქტიურ ფაზაში გადასვლის პირობებიც დადგა. სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც 2017 წლის მარტში ყველა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი მონაწილეობით შედგა, დაიგეგმა სამთავიანი პროგრამა.

ბარბელა მ-3 მ.

## „1+4“ პროგრამის მონაწილეები თსუ-დან – წარმატების ისტორია



თსუ საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის სტუდენტი ელზა გოროსიანი და თსუ კურსდამთავრებული ადაბეგ სიმონიანი დღეს ჟურნალისტების ამბულანსში არიან – სამედიცინო ვებ-პორტალისთვის „ალიქმედი“ ამზადებენ წარმატების ისტორიებს ე.წ. „1+4“ პროგრამის მონაწილეების შესახებ – ახალგაზრდებზე, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში საკუთარ მშობლიურ ენაზე ჩააბარეს გამოცდა და ქართულ ენასა და უმაღლეს განათლებას უკვე ამის შემდეგ შეუძენენ.

კითხვაზე, რატომ გადაწყვიტეს ასეთი პროექტის გაკეთება გამოცემისთვის, რომლის ძირითადი აუდიტორია სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა და ახალგაზრდები არიან, მარტივი პასუხი აქვთ:

– ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ არსებული შესაძლებლობების შესახებ; იმის თაობაზე, რომ შეგიძლია წარმატებას მიაღწიო, თუ ქართულს შეისწავლი, უნივერსიტეტს დაამთავრებ და არაერთ წინააღმდეგობას გადალახავ; შეგიძლია სტაჟირების პროგრამებში მიიღო მონაწილეობა; გაცვლით პროგრამებში; დასაქმდე; ინტერვიუება მოახდინო სამოგადოებაში; უამრავი მეგობარიც გაიჩინო. წარმატების მაგალითები კი მკითხველსა და მსმენელს (ეს ისტორიები სომხურენოვანი რადიოს „ნორის“ ეთერშიც გადაეცემა“, ამ გზის გაყვას მოგიყვას უქმნის.

ელზა და ადაბეგ თავადაც ასეთი წარმატებულებები არიან – სტუდენტები, რომლებმაც ქართული ენის შესწავლა შეძლეს და უმაღლესი განათლების საქმეში გამოყენებაც დაიწყეს.

ბარბელა მ-4 მ.

## ევროპული ღირებულებებით – რაჭაში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მნიშვნელოვანი მისია იკისრეს – რაჭის რეგიონის სოფლებში „ევროპული ღირებულებები“ ჩაეგანათ და იქ მცხოვრებ ახალგაზრდებთან ერთად საქართველოს ევროპულ მომავალზე ემსჯელათ. პროექტი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა და რაჭაშიც და მის მიღმაც საკმაოდ კარგი გამოხმაურება მოჰყვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სამეცნიერო პროექტების კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „ევროპული ღირებულებები რაჭის მაღალმთიან რეგიონში“ პირველი ეტაპი წარმატებით გახორციელდა.

ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების X-XII კლასის 200-მდე მოსწავლეს ჩაუვარდათ სამდღიანი საგანმანათლებლო სემინარები ევროკავშირის შესახებ. მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ სპეციალურად ამ საკითხზე ჩატარებული სემინარის საშუალებით დაეხვეწათ არგუმენტირებული ესსე წერის უნარ-ჩვევები.

პროექტს ახორციელებენ საინიციატივო ჯგუფის წევრები, თსუ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტები: ვიორჯი ხიდუშელი, გუგა ბერძენიშვილი, ნინო გობალიშვილი, გოჩა ლობჯინაძე.

პროექტის ფარგლებში გამოცხადებული ესსეების კონკურსში თემაზე „საქართველოს ევროპული მომავალი“ 15 ნაშრომი შეირჩა. გამოვლინდა სამი



გამარჯვებული: საფრანგეთში საქართველოს სათვისგომოს ხელმძღვანელის, ოთარ მურაბიშვილის ინიციატივით, ვიორჯი წევრების მიერ გამოვლენილი საუკეთესო მოსწავლე ბარბარე ურთიშელი (ქართული ღვინო – გზა ევროპისკენ) დაჯილდოვდა შემეცნებითი გურით საფრანგეთში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის საპედაგოგიური საბჭოს მიერ დაჯილდოვდა ვიორჯი ხომასურაძე (საქართველოს მომავალი ევროპული გამოცდილების გამოარება), მესამე გამარჯვებული კი ნინო მგერველი (ევროკავშირში გაერთიანებით საქართველო შექმნის გახლეს კონკრეტული

რად ძლიერი და წარმატებული სახელმწიფო) გახდა, რომელიც ჟურნალში გამოაქვეყნდა.

ყველა მოსწავლეს გადაეცა სხვადასხვა სახის საჩუქარი უნივერსიტეტისგან, ევროკავშირის დელეგაციისგან საქართველოში და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისგან.

შეგახსენებთ, რომ 2017 წლიდან უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების ახალი წესი ამოქმედდა, რომელმაც პროექტების განხორციელებაში ჩართვის შესაძლებლობა მეტ სტუდენტს მისცა; სულ წელს ამ პროექტების ბიუჯეტი 600 000 ლარია.

## საქართველოს ეროვნული ატლასი – ინტელისურ ენაზე



თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტში ევროპულ პარტნიორებთან თანამშრომლობით რამდენიმე წლის წინ გამოცემული „საქართველოს ეროვნული ატლასი“-ს ინგლისურენოვანი ვერსია მზადდება, რომლის წარდგინა 2018 წელს ფრანკფურტის ყოფილი უნივერსიტეტის გამოფენაზე იგეგმება. 2018 წელს აღინიშნულ ფრანკფურტის გამოფენაზე საქართველო სპეციალური სტუმრის სტაგუსითაა მიწვეული. შესაბამისად, აქ საქართველოდან წარმოდგენილი პროექტის უფრო მეტი ყურადღების ცენტრშია.

მ-2







# თსუ-დან როტერდამის ერაზმუსის უნივერსიტეტში – ბაცვლითი პროგრამით ევროპაში

პირველი გვერდი



ნანა მაჭარაშვილი

რამის ეგაპები და კონკრეტული აქტივობები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში პროექტის თემატიკა კიდევ უფრო გაიხილა „სამოგალოებრივი ჩართულობა მწვენივ ქალაქის სტრატეგიულ განვითარებაში“. პროექტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მონაწილეობს 5 სტუდენტი, რომელთა შორის 4 მაგისტრანტი და 1 დოქტორანტი. აქედან 3 მაგისტრანტი სახელმწიფო მართვისა და სოციალური პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის, 1 კი პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის სტუდენტი. პოლიტიკის მეცნიერების პროგრამიდან გახლავთ დოქტორანტიც, რომელიც პროექტშია ჩართული.

მათი შერჩევის უმთავრესი კრიტერიუმი თემატიკით დაინტერესება და ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე გახლავთ.

სტუდენტების შემთხვევაში სამთვიანი მივლინება (2017 წლის მაისი, ივნისი, ივლისი) საკუთარ სამაგისტრო თემატიკის ფარგლებში საბიბლიოთეკო მუშაობის, სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციის პროექტებზე მუშაობისა და პოლანდიის გამოცდილების შესწავლის მიზნით მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში იგეგმება გაცემა 5 აკადემიური პერსონალის დონეზე ერთკვირიანი ვიზიტების ფარგლებში, ასევე სამაგისტრო 21 დღიანი ვიზიტი პროექტის კოორდინატორის პომიციანე.

აკადემიური პერსონალის დონეზე პროექტში ჩართული გახლავთ იოსებ სალუქვაძე, არჩილ ჟორჟოლიანი, დავით სიჭინავა და ნანა მაჭარაშვილი. აკადემიური პერსონალი როგორცაა ერაზმუსის უნივერსიტეტის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს აცნობს საქართველოსა და პოსტ-საბჭოთა ქვეყნების გამოცდილებას, კითხვების ლექციებს, ბინადრობისა და ურბანული განვითარების ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიულ ჯგუფთან აქტიურად დაკავებული თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობებზე მუშაობით, რაც უახლოეს მომავალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი კურსების, ახალი მოდულებისა და ახალი ორმაგი ხარისხის მქონე სამაგისტრო პროგრამის დანერგვაში აისახება.

როგორცაა ერაზმუსის უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო გარემოსა და სამომავლო გეგმების შესახებ პროექტში მონაწილე თსუ სტუდენტები გვესაუბრებიან:

**ლევან ხუციშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებთა ფაკულტეტის, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი:**

2014 წელს IHS-მა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორგანიზება გაუწია გრენინგს სახელწოდებით „Good Governance in Emerging Democracies: Decentralization and Public Participation in Development Planning“, რომლის ერთ-ერთი მონაწილე მეც ვიყავი. სწორედ ამ გრენინგ კურსიდან შევიტყვევებ როგორცაა ერაზმუს უნივერსიტეტის შესახებ, და ასევე გამიჩინა სურვილი სამომავლოდ მემუშავა მონაწილეობითი ურბანული პოლიტიკის საკითხებზე.

2017 წლის მაისში კი თსუ-მ გამოაცხადა კონკურსი Erasmus+ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სამთვიანი პროექტისთვის როგორცაა უნივერსიტეტში და გადარჩევილი მიმიღე მონაწილეობა, რადგან ჩემი სადოქტორო კვლევის ფარგლებში სწორედ ამ თემებზე ვმუშაობ, რომლებზეც აღნიშნული

გაცვლითი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსი კონცენტრირდება.

გამომდინარე წინა გამოცდილებიდან, ველოდი, რომ მოვლიდი მაღალი დონის მქონე პროფესიონალებით დაკომპლექტებულ აკადემიურ გარემოში, სადაც შესაძლებლობა მექნებოდა სხვადასხვა პერსპექტივიდან დამენახა ჩემი საკვლევი საკითხი და ასევე მექნებოდა საშუალება გავცნობოდი ლიგურაგურას რომელიც ასე აუცილებელია სადოქტორო ნაშრომისთვის. შეიძლება ითქვას რომ ჩემი მილოდინები მართლდება. ჩემს საკვლევ თემას წარმოადგენს: „მონაწილეობითი ურბანული პოლიტიკის ფაქტორები: პოსტ-მაგისტრიალისტური პოლიტიკური კულტურის დამკვიდრების შესაძლებლობები საქართველოში“.



ლევან ხუციშვილი

საუნივერსიტეტო სივრცე სრულიად მორგებულია სტუდენტის საჭიროებებს, რაც მუშაობას სასიამოვნოს ხდის. ასევე კარგადაა გამართული საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა, მრავალი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია ელექტრონული ფორმატითაა ხელმისაწვდომი. პერსონალიც მეგობრულადაა განწყობილი და მუდამ მზადაა დახმარებისთვის. სასწავლო პროგრამაც სრულიად მოქნილია და კარგად დაბალანსებული, რაც საკმარის დროს გვუძლავს მუშაობა და დასვენებისთვისაც. ყოველივე ამის გამო, შემძლია თანამაღ ვთქვა, რომ სასწავლო გარემო ძალიან მომწონს.

თსუ-ში დავამთავრე ბაკალავრიატი და მაგისტრატურაც, და ის ცოდნა და გამოცდილება რაც ამ წლების განმავლობაში დამიგროვდა, მეხმარება და მიაღწევს კვლევებისთვის საჭირო ლიტერატურის მოძიებას და ანალიზს.

**ქრისტინა ავალიანი, სამაგისტრო პროგრამა სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკის პირველი კურსის სტუდენტი:**

პროექტში თსუ-ს დახმარებით მოეხდებოდა. თსუ საიხსრების ვებ-გვერდზე აღმოვაჩინე ამ პროექტის შესახებ ინფორმაცია, დამინტერესდა და გავიარე შესაბამისი ეგაპები იმისათვის, რომ საბოლოოდ, პროექტის მონაწილე გავმხდარიყავი.



ქრისტინა ავალიანი

სამართლე გიხსრბთ, თავიდან მოლოდინები, რომ პროექტის მონაწილე გავხდებოდი და ჩემი უნივერსიტეტი მომეცა საშუალება „ერასმუსის როგორცაა უნივერსიტეტი“ ვისწავლიდი, ნაკლებად მქონდა, მაგრამ ბოლო ეგაპებზე გადასვლის შემდეგ უკვე არაფერს გამოთვლიყავი.

ყველაზე მეტად ამ უნივერსიტეტში მომწონს ის, რომ სასწავლო გარემო

მაქსიმალურად არის მორგებული სტუდენტების ინტერესებს. მოხიბული ვარ ამ ფაქტით, რომ ერაზმუსის როგორცაა უნივერსიტეტს ბიბლიოთეკის დიდი ბაზა აქვს, რაზე ხელმისაწვდომობის საშუალებაა ჩვენ გვეძლევა პროექტზე მუშაობის განხილვაში.

ჩემი საკვლევი თემა ვეცადე მაქსიმალურად ყოფილიყო ორიენტირებული სამოქალაქო ჩართულობაზე ქალაქდაგეგმვაში და იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს თბილისი ამ კუთხით როგორცაა მთლიანად. ამიტომ, თემა ავიღე საკმაოდ პრობლემური საკითხი – „ცენტრისა და პერიფერიის განვითარება თბილისში როგორცაა მთლიანად“.

ჩემი სამაგისტრო პროგრამის განხილვაში თსუ მაქსიმალურად მეხმარებოდა განმეფიარებინა ჩემი ცოდნა და ანალიტიკური უნარები, შესაბამისად, აქ უკვე მაქსიმალურად ვახდენ მინიშნული ცოდნის რეალიზებას საკვლევი პროექტის განვითარების კუთხით.

**სოფო აბაშიძე, სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი:**

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2015 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით მივიღე. ერთწლიანი შესწავლის შემდეგ კი სწავლის გაგრძელება სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაზე გადავწყვიტე. არჩევანი რამდენიმე მიზეზის გამო ისევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე შევიჩერე და ასე ვაგებდი კვლავ უნივერსიტეტში.



სოფო აბაშიძე

თსუ გაცვლითი პროგრამების საკმაოდ მრავალფეროვნებით გამოიჩინა, უნივერსიტეტს მსოფლიოს ბევრ ქვეყანასთან აქვს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები. სწორედ ამ პოლიტიკის მეშვეობით, უნივერსიტეტმა შესაძლებლობა მომცა მონაწილეობა მსოფლიო გაცვლითი პროგრამაში, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის სტაჟირების მონაწილეობაზე როგორცაა მთლიანად. როგორცაა მთლიანად, რომელიც ხორციელდებოდა როგორცაა ერაზმუსის უნივერსიტეტთან (Erasmus University Rotterdam) თანამშრომლობის საფუძველზე.

მოხარული ვარ რომ მივიღე სტიპენდია და შესაძლებლობა მეძლევა ვისწავლო ევროპის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში, რომელიც მეხმარება გავიუმჯობესო კვლევითი უნარები, მოვისმინო სინტეზის ლექციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული ლექტორების მონაწილეობით და აქტიურად ვიმუშაო სამაგისტრო პროექტზე, რომელიც შეეხება მოქალაქეთა თანამონაწილეობას კავსაროფის რისკის შემცირებაში.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღებული ცოდნა აღნიშნულ საკითხზე მუშაობას მიმარგებებს. ვაპირებ, დასრულებული ნაშრომი პროექტის სახით დასაფინანსებლად შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდში შევიგანო. იმედი მაქვს, პროექსი კარგად წარმართება, რადგან აქ საკმაოდ დიდი რესურსია გაცვლითი პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის.

პროგრამა, რომლის ნაწილიც ვარ ცოდნისა და გამოცდილების გარდა, მამძლევს შესაძლებლობას გავეცნო სხვა



ქვეყნის კულტურას, შევიცნო ინოვაციები, რომლებიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა და ვიცხოვრო ქალაქში, რომელსაც თავისუფლად ვუწოდებდი „მწვენივ“ და „ჰკვიან“ სიერესს.

**ელენე ჩიგაშვილი, სამაგისტრო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერების პირველი კურსის სტუდენტი:**

2016 წელს დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ბაკალავრიატის საფეხური, მას შემდეგ კი ჩავაბარე ამავე უნივერსიტეტსა და მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე. სამაგისტრო პროგრამის პირველ სემესტრში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავიარე ჩემთვის მეტად საინტერესო სხვადასხვა კურსი, მათ შორის ერთ-ერთი იყო ქალაქის პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებლობა მომეცა შემესწავლა ქალაქის მართვის თანამედროვე ტენდენციები და საერთაშორისო პრაქტიკა, რამაც განაპირობა ჩემი დაინტერესება აღნიშნული მიმართულებით. გამოფხულის სემესტრში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდის მეშვეობით მივიღე ინფორმაცია ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის სტაჟირების შესახებ როგორცაა ერაზმუსის უნივერსიტეტში განსახლებისა და ურბანული განვითარების კვლევების ინსტიტუტში (ნიდერლანდების სამეფო), რის შემდეგაც კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დავიწყე საჭირო საბალიკაციო დოკუმენტების შეგროვება.

საბედნიეროდ, წარმატებით გავიარე სტაჟირების შესარჩევი პროცესი და კომისიასთან გასაუბრების შემდეგ მასპინძელმა უნივერსიტეტმა საბოლოოდ შეარჩია ჩემი კანდიდატურა.

რაც შეეხება პროგრამასთან დაკავშირებულ ჩემს მოლოდინებს, მინდა აღნიშნო, რომ სასეპებით გამიმართლდა და დღეს იდეალური სასწავლო გარემოს შემოვლითი შესაძლებლობა მეძლევა გავიუმჯობესო ჩემი კვლევითი უნარები როგორცაა ერაზმუსის უნივერსიტეტის რესურსების სრული გამოყენებით. გარდა ამისა, უდიდეს საამოვნებას მანიჭებს ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან, რისი შემდეგობაც საგანმანათლებლო ერთად დღევანდელი კულტურა გამოცდილებას.



ელენე ჩიგაშვილი

დღეისათვის, მასპინძელ უნივერსიტეტში აქტიურად ვმუშაობ კვლევაზე, რომელიც უკავშირდება „ჰკვიანი ქალაქი“ (Smart City) იდეას და მის გაცენას მოქალაქეთა თანამონაწილეობის ხარისხის მრდაზე. სექტემბერში კი მიზნად მაქვს დასახული საკუთარი კვლევის პროექტის სახით შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდში დასაფინანსებლად შეგანა და მასზე მუშაობის გაგრძელება.

დადი მალაობა მინდა გადავუხადო მშობლიურ უნივერსიტეტს, რომელმაც შესაძლებლობა მომცა მესწავლა მსოფ

ლიოს ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში და მეცხოვრა ქალაქში, რომელიც მაქსიმალურად მორგებულია ურბანული განვითარების ინოვაციურ იდეებზე.

**ნათია კეკელიძე, სამაგისტრო პროგრამა სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა, პირველი კურსი:**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატზე ჩაბარების შემდეგ გადავწყვიტე, რომ მაგისტრატურაზეც თსუ-ში უნდა ჩამებარებინა. სამაგისტრო სწავლის გაგრძელების იდეა ყველასთვის მომხიბვლელია, თსუ გაცვლითი პროგრამები კი სტუდენტებს ამ შესაძლებლობის გამოყენების უამრავ შანსს გვამძლევს. მაისის თვეში თსუ-მ გამოაცხადა კონკურსი ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ ერაზმუს+ პროგრამის სტაჟირების მოსაპოვებლად როგორცაა ერაზმუსის უნივერსიტეტში პროექტზე: „სამოგალოებრივი ჩართულობა „მწვენივ ქალაქის“ სტრატეგიულ განვითარებაში“.



ნათია კეკელიძე

კონკურსში მონაწილეობის მიღება პროექტის თემატიკამ და ამ საკითხებისადმი ჩემმა დიდი ინტერესმა განაპირობა. რამდენიმე საკონკურსო ეგაპის გავლის შემდეგ, საბედნიეროდ, თსუ-მ ამარჩია და უკვე ერთი თვეა, რაც ჩემს კურსსეპებთან ერთად როგორცაა ერაზმუსის უნივერსიტეტში საკვლევ პროექტზე ვმუშაობ. ჩემი კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ქალაქდაგეგმარების პროცესში ჩართული სხვადასხვა აქტორის მონაწილეობის ხარისხს.

ბუნებრივად, წლების განმავლობაში თსუ-ში მიღებული სასწავლო გამოცდილება და სამეცნიერო კვლევის წარმოებისთვის აუცილებელი უნარები მიაღწევს შემოთავაზების პროცესში.

ალსანიშნავია ერაზმუსის უნივერსიტეტში არსებული კომფორტული და სწავლაზე ორიენტირებული გარემო, ჩემთვის განსაკუთრებით გამორჩეულია უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია ჩვენთვის საჭირო წიგნები, სტატეები თუ კვლევის ანგარიშები. ამ რესურსს არამხოლოდ კვლევის, არამედ სამომავლოდ, სამაგისტრო თემაზე მუშაობის პროცესშიც გამოვიყენებ.

ლექციების გვიგარბენ ამ დარგის მთავარ საკითხებს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათთან და სხვა საერთაშორისო სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაცია და ურთიერთობა მნიშვნელოვანია ჩვენთვის, როგორც ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად, ისე სოციალური კავშირების გასაზრდელად. ასევე ბევრს ესწავლება ჩემი თსუ-ელი მეგობრებისა და მეგობრების უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოცემული ეს შესაძლებლობა ჩემთვის სამაგისტრო სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევების პირველი გამოცდილებაა, ამდენად, ვფიქრობ აქ მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები მნიშვნელოვან მეგავლენას მოახდენს სამომავლოდ ჩემს საქმიანობაზე და მომცემს ნაყოფიერ სამეცნიერო კვლევის წარმოების საშუალებას



სიახლეები

23 ივნისს, თსუ-ში აკადემიური წერის განვითარების პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, რომლის მიზანი სტუდენტთა შორის აკადემიური წერის სტანდარტების ამაღლებაა.

თსუ-ის ფუტკალის გუნდი საუნივერსიტეტო ჩემპიონატის ნახევარფინალშია. 19 ივნისს თსუ სტუდენტებმა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდთან ანგარიშით 5-0 დაამარცხეს და გათამაშების ცხრილის ლიდერის რანგში გაედიდნენ შემდეგ ეტაპზე



16 ივნისს თსუ-ში Bloomsday აღინიშნა. ღონისძიება, რომელიც Bloomsday-ს სახელითაა ცნობილი, ჯოისის რომანის „ულისის“ მთავარი გმირის – ლეოპოლდ ბლუმის სახელს უკავშირდება.

ყოველწლიურად, ამ დღეს, ირლანდიასა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აღნიშნავენ ჯოისის მკითხველები, მთარგმნელები და კითხვითი ფრაგმენტებს „ულისის“ წილს გამოცემულ „არტანუჯის“ ინიციატივით, თსუ-ში შეიკრიბნენ ჯოისის მთარგმნელები, მკითხველები, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

15 ივნისს თსუ-ში გერმანიის აკადემიური ვაცელის სამსახურის (DAAD) ყოფილი სტიპენდიანტების შეხვედრა გაიმართა. 1988 წლიდან მოყოლებული თსუ-ს DAAD-თან ურთიერთობის ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. 15 ივნისის ღონისძიებაზე წარმოვადგინეთ ის, რაც ერთობლივად უკვე გაკეთებული გვაქვს და ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა მომავალი, რა პერსპექტივა აქვს ჩვენს ორმხრივ ურთიერთობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 95 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

იუბილე უნივერსიტეტმა პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის XI საფაკულტეტო კონფერენციით აღნიშნა. საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში პროფესორ თეოდორ ლუნდსა საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების მე-12 ტომის პრეზენტაცია გაიმართა, ასევე შედგა ვაშლი „თბილისის უნივერსიტეტის“ რეაქტორის ნინო კაკულიას ლექციონერული ფილმის „ისტორიამ რა პქმნა?“ ჩვენება. ფილმი აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის მიღწეულობას ეძღვნება.

11 ივნისს თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამის „წარმატებული სტუდენტების წახალისება“ ფარგლებში, 145 წარმატებული სტუდენტი დაჯილდოვდა. მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 62 სტუდენტი. წარჩინებული მღაფგრანტებს მერიის სტიპენდია და წარჩინების სერტიფიკატი გადაეცა.



9 ივნისს თსუ-ის სტუდენტური თეიმთამართველობის ორგანიზებით ნინო ქიათაძის და ჯგუფ „Insight“-ის სოლო კონცერტი გაიმართა.

5 ივნისს სახელმწიფო უნივერსიტეტმა თბილისის მერიასა და თბილისის საკრებულოსთან თანამშრომლობის მეორე ეტაპზე გააფორმა. ხელშეკრულების თანახმად, თბილისის მერია და საკრებულო მჭიდროდ თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან სტუდენტური სამსახურის პრაქტიკისა და სტაჟირების საკითხებზე, თავის მხრივ, უნივერსიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მერიას და საკრებულოს საჭირო მეთოდოლოგიური მასალებით, წერტილის მოვლას და ადგილობრივ თეიმთამართველობისთან დაკავშირებული სხვა ინტელექტუალური რესურსებით განახორციელებენ ერთობლივ პროექტებს.

6 ივნისს, 115-ე უელფორმის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა 2018-2019 აკადემიური წლის ფულბრაიტის სამაგისტრო სტიპენდიის პროგრამის (2018-19 Fulbright Graduate Student Program) შესახებ. სასტაჟირო პროგრამა ითვალისწინებს აშშ-ის უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის სრულ დაფინანსებას ყველა დისციპლინაში, მათ შორის ბიზნესის დისციპლინების სფეროში.

30 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული გრადუალური მუსიკის ანსამბლ „თსუ გორდელას“ საიუბილეო კონცერტი რუსთაველის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა. 10 წლის იუბილეზე ანსამბლმა ერთგულ მსმენელს თსუ-ის მხედრით დადგმული წარუდგინა „თსუ გორდელას“ 2007 წელს ჩამოყალიბდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 10 წლის განმავლობაში მრავალფეროვანი, თვითმყოფადი და გამორჩეული შემოქმედებით დიდი პოპულარობა მოიპოვა.

თსუ-ში რუსთაველის თეატრის სექციამ: „მოხუცი ჯამბაზე“ სრული ანშლავით ჩაიარა. მთხუცთა თეატრის ბუნება, მაიმიკა თუ ლირიკული ბინარობი რეჟისორმა გიორგი კახანაძემ ამაჯობა უნივერსიტეტის სცენაზე გააცოცხლა. რთადა პარტნიორის პიუსის მხედრით დადგმული ორმოქმედება სეველიანი კომედიის ჩვენება თსუ-ის სტუდენტური თეიმთამართველობის კულტურის ლეპარტამენტის და საქართველოს კულტურის პალატის ორგანიზებით გაიმართა.

თსუ სტუდენტთა საერთაშორისო სტუდენტ ოფიკოსთა ასოციაციის კონფერენციაზე PIERS 2017

საერთაშორისო სტუდენტ ოფიკოსთა ასოციაციის კონფერენციაზე PIERS 2017, რომელიც 2017 წელს პეტერბურგში გაიმართა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსკ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი გიორგი მემედიანი წარმატებით წარსდგა. სამეცნიერო კონფერენციაზე „განვითარებული მათემატიკური და გამოყენებითი მეთოდები ელექტრომაგნიტურ თეორიასა და მის გამოყენებაში“ მან წარადგინა მოხსენება თემაზე „ელექტრომაგნიტური ველე-

ბის არასტანდარტული მახასიათებლები“. გიორგი პირველი კურსიდან არის საერთაშორისო სტუდენტ ოფიკოსთა ასოციაციის წევრი და ამ ორგანიზაციის ღონისძიებებზე, რომელსაც სტუდენტები და მეცნიერები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ესწრებიან, ხშირად იღებს მონაწილეს. ამაჯობა გიორგის მოხსენებამ საერთაშორისო კონფერენციაზე დიდი ინტერესი დაიმსახურა. თსუ სტუდენტმა მოწვევა მიიღო შემდეგ კონფერენციაზე, რომელსაც ამაჯობა სინგაპური უმასპინძლებს.



„1+4“ პროგრამის მონაწილეები თსუ-დან – წარმატების ისტორია

პირველი გვერდიდან

მათ მიერ მომზადებული ისტორიებიდან პაგარა მონაკვეთებს შემოვთავაზებთ, რომელიც საიგზე aliq.ge გამოქვეყნდა:


რობერტ ქარგაშვიანი:



– რობერტ ქარგაშვიანი საზოგადოებრივი მუშაობის საინფორმაციო პროგრამა „მოამბეს“ სომხურ ენაზე რეგიონალური მუშაობისთვის თარგმნის. რობერტი თბილისელია, „1+4“ პროგრამით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურდიული ფაკულტეტის მე-4 კურსზე სწავლობს. ბევრის აზრით, ეს პროგრამა რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისთვის არის შექმნილი. ამბობენ, თბილისელებმა ქართული ისე დაეციათ. რობერტი საპაირობის ამტკიცებს.

გორ გვესწავლა, რა უნდა წარგვედგინა სემინარებზე და გამოცდები როგორ ჩაგვემართებინა. ჩვენი იდეა მივმართეთ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ „პაიარტუსს“. აქ ჩვენი ფართი გამოიხატა და შესაძლებელი გახდა იდეა რეალიზება გვექცია.“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგი და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მე-2 კურსის სტუდენტი, პარიზის მალხასიანი 3 წლის წინ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ თორდან თბილისში უმაღლესი განათლების მისაღებად ჩამოვიდა.



„რაგომ თბილისი? რადგან ნებისიერი ეთნიკური უმცირესობის წარმოადგენელი ვალდებულია ფლობდეს ქვეყნის სახელმწიფო ენას. ჩაბარებისას სასაუბრო ღონეზე ელემენტარული დალოცისთვის საჭირო სიტყვები ვიცოდით“– ამბობს პარტიზონი და ამტკიცებს, რომ 1 წლის შემდეგ ქართულ ენასთან დაკავშირებული პრობლემები შეუდარებლად ნაკლები ჰქონდა.

„1+4 პროგრამით ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ახლა სწავლას ვაგრძელებ ადმოსოვლეთი ეკონომის უნივერსიტეტში. საქართველოში, იქ სადაც ცხოვრობთ, განათლების მისაღებად 1+4 საუკეთესო შესაძლებლობაა.

ჯავახიშვილის სახელობის პრობლემები აქვს ქართულ ენასთან დაკავშირებით, ხოლო ეს პროგრამა ქართულს დასაფუძვლად საუკეთესო შესაძლებლობა იყო“–ამბობს გურგენი. ის უმაღლეს სასწავლებელში მშობლიურ, სომხურ ენაზე, ერთი გამოცდის (მოგვი უნარჩევებს) ჩაბარებით მოხვდა.

გურგენი ამბობს, რომ პროექტი იძლევა იმ შედეგს, რისთვისაც შეიქმნა. ის ასევე აღნიშნავს, რომ პროექტის მიზანი არ არის ქართული ენის შესწავლა. ის უბრალოდ ეხმარება სახელმწიფო ენის არ მცოდნე პირებს, გამოცდა ჩააბარონ მშობლიურ ენაზე, შემდეგ კი მათი, ქართული საზოგადოებაში ინტეგრირება მოხდეს.

„ჩვენ – ჯავახიშვილი ჩამოსულ სტუდენტებს, ინფორმაციის ნაკლებობა გვექონდა. რა სიმკაცრის იქნებოდა ქართულის შესწავლა, რა გველოდა პროექტის პირველი წლის დსრულების შემდეგ პირადად მე, სანამ სწავლას დაიწყებდი, ვფიქრობდი, რომ რაღაც დონეზე ქართული ვიცოდი, თუმცა გამოცდილებამ მაჩვენა, რომ ეს ასე არ იყო.“



სამწუხაროდ, ქართულის შემსწავლელმა პროგრამამ, მოლოდინი ვერ გააძირა.“

ქართული ენის შესწავლაში გურგენს ასევე იურიდიული ფაკულტეტი დაეხმარა: „მე არც ერთ წამს არ გავჩერებულვარ ქართულის დახვეწის მიმართულებით. ენის ფლობა მითითებს დიდ შრომისმოყვარეობას. ჩვენ ხომ კონკურენცია უნდა გავგეწიოთ იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც ქართული სკოლები დაამთავრეს.“

მისი თქმით 1+4 პროგრამით მოხვედრულ სტუდენტებს მხარდაჭერას ლექტორებიც უწევდნენ, უფრო რთილად ექცეოდნენ, ბევრს არ სთხოვდნენ. თუმცა გურგენს, ფსიქოლოგიურად ეს არ მისწონდა.

სხვა საკითხია ქართველ სტუდენტებთან ინტეგრირება, რამდენად გურგენი ამბობს:

„საწყის ეტაპზე გარკვევით ჩანდა, რომ ინტეგრირება ვერ ხერხდებოდა, ეთნიკურად სომხები ყოველთვის ერთად ვიყავით, ეს კი ნორმალური არ იყო. შემდეგ რაც უფრო მეტად გადავალეთ ენობრივი ბარიერი, მით უფრო მეტად მოხდა ინტეგრირება.“

ოუსციაციის მინისტრის პროგრამის თანახმად, რეგიონებში ივგეგმა ოუსციაციის სახლის ფილიალების გახსნა, გურგენ ენობრივი ახალქალქის ფილიაში დაიწყებს მუშაობას.